საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 412/ს
21/10/2022

412-21-4-202210211014

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნასაკირალში შპს „ვასაძის ჩაის“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ვასაძის ჩაის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნასაკირალში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

2022 წლის 24 მაისს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ვასაძის ჩაის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79^7-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) და 82^2-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №070237 და №070238 ოქმები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „ვასაძის ჩაის“ საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 65 280 $მ^2$ ჯამური ფართობის მქონე (6.528 ჰა) მიწის ნაკვეთის (ს/კ:26.29.28.184) 4.5 ჰექტარზე გაშენებული აქვს 130 000 ლურჯი მოცვის ნერგი. პლანტაციის მორწყვის მიზნით ტერიტორიაზე მოწყობილია წვეთოვანი სარწყავი სისტემა. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი, ტუმბოს განთავსებიდან მდებარეობს დაახლოებით 180 მეტრში. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი მდ. სკურდუმი მიედინება ტერიტორიის სამხრეთ საზღვართან. მიწის ნაკვეთი შემოღობილია და უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით, ასევე, მოწყობილია დაცვის ჯიხური და განათება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ლურჯი მოცვის ნერგების მოსარწყავად წყალაღება ხდება მდ. სკურდუმიდან. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-253353; Y-4649684. მდ. სკურდუმიდან წყალაღება ხდება 7 მ სიგრძის მქონე (დიამეტრი 200 მმ) მილის საშუალებით. წყალი, მილით მიედინება საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულ ბეტონის ჭაში, რომელიც მოწყობილია წყალაღების წერილიდან 7 მეტრში, საიდანაც ლითონის საყრდენებზე დადგმული 15 $მ^3$/სთ წარმადობის წყლის ტუმბოს საშუალებით, 75 მმ-იანი მილით მიეწოდება სარწყავი სისტემის ფილტრს, რომელიც მდებარეობს ტუმბოდან 22 მ-ის დაშორებით. ნაკვეთის საზღვართან მოწყობილია შენობა, სადაც

განთავსებულია წყლის ფილტრი და გამანაწილებელი სამკაპი. გამანაწილებელი სამკაპიდან 63 მმ-იანი მილებით წყალი მიეწოდება სარწყავი სისტემის მაგისტრალურ მილებს, რომელთა საერთო სიგრძე 1 400 მ–ია. მაგისტრალური მილებიდან წყალი მიეწოდება 50 მმ-იან ქვემაგისტრალურ მილებს (სიგრძე 292 მ), რომლებზედაც მიერთებულია 16 მმ-იან საწვეთურიანი მილები. მილები განთავსებულია მიწის ქვეშ.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ლურჯი მოცვის ნერგების მორწყვა ხორციელდება სეზონურად, 6 თვის (მაისი–ოქტომბერი) განმავლობაში. მოსარწყავად გამოყენებული წყლის მოცულობა წელიწადში შეადგენს 3 600 $მ^3$-ს, რაც თვეში შეადგენს 600 $მ^3$-ს, ხოლო დღეში 60 $მ^3$-ს. დოკუმენტის თანახმად, მდინარე სკურდუმიდან წყალაღება მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს მდინარის ხარჯზე და მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება ძალიან დაბალი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, პლანტაციის გაშენება მოხდა 2021 წელს და ობიექტზე სამელიორაციო სისტემა მოწყობილია. სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირება, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, არ არის დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროა მდინარის ნაპირთან განთავსებული დაბალი წარმადობის ტუმბო, რომლის მაქსიმალური ხმაურის დონე შეადგენს 55-60 დბა-ს. ასევე აღნიშნულია რომ ხმაურის წყაროსა და უახლოეს საცხოვრებელ სახლს შორის (180 მ) განთავსებულია ბუნებრივი და ხელოვნური ბარიერები. სკრინინგის განცხადების მიხედვით, გაანგარიშებულია უახლოეს მოსახლეობასთან ხმაურის დონე, რომლის მიხედვითაც ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოიქმნება აგროსამუშაოების შედეგად სასუქებისა და ქიმიკატების შესაფუთი მასალები (10 კგ), რომელიც გროვდება დახურულ შენობაში და ყოველწლიურად, აგროსამუშაოების დასრულების შემდეგ გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიას. რაც შეეხება საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, საპროექტო ტერიტორიაზე მათ წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს. ტერიტორია გასულ საუკუნეშიც ათვისებული იყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და მასზე გაშენებული იყო ჩაის პლანტაცია. შესაბამისად, ექსპლუატაციის ეტაპზე ბიოლოგიურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რისკი მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, პლანტაციიდან დასავლეთით, საავტომობილო გზის მეორე მხარეს მიმდინარეობს მოცვის პლანტაციის გაშენება, რომლის მორწყვაც სავარაუდოდ დაგეგმილია ასევე მდ. სკურდუმიდან. დაგეგმილი პლანტაციის ფართობი 2 ჰა-ია. მასზე შესაძლებელია 6 000 ძირი მოცვის ნარგავის გაშენება, რომლის მოსარწყავად მოსალოდნელი წყალაღება არ გადააჭარბებს საათში 12$მ^3$-ს. სკრინინგის განცხადების მიხედვით, ორივე პლანტაციის ერთდროული მორწყვის შემთხვევაშიც კი წყალაღების ჯამური რაოდენობა მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს მდინარის ჰიდროლოგიურ მახასიათებლებზე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და

გადაეგზავნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობისა და მასშტაბის გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნასაკირალში, შპს „ვასაძის ჩაის“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ვასაძის ჩაი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ვასაძის ჩაის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ვასაძის ჩაის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო